შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№26 (9.985)

24 - 31 ივლისი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ცხოვრების ღირსეული პირობები როგორც ქალაქად, ასევე სოფლად!

დედოფლისწყაროში მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. სოფლებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება.

ახლა ყურადღება შიდა საუბნო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზეა გადატანილი. ამ ეტაპზე რამდენიმე მსხვილი პროექტი ერთდროულად ხორციელდება. „დღეისათვის 15 მსხვილი პროექტი მიმდინარეობს. აქედან 11 პროექტი შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციას ისახავს მიზნად, რაზეც 5 მილიონი ლარი დაიხარჯება. მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროში 14 სოფელია, ამჟამად 11 ლოკაციაზე აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს გზების კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლებიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება.

სოფლებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია უკვე დასრულდა. ბოლო აკორდი იყო სამთაწყარო-ფიროსმანის დამაკავშირებელი გზის მოწყობის სამუშაოები, რომელიც ახლახანს დასრულდა და პროექტის ღირებულებამ 7 მილიონი ლარი შეადგინა. ასევე მნიშვნელოვანი პროექტი იყო დედოფლისწყარო - ქვემო ქედის დამაკავშირებელი გზის 45 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც საშინლად იყო ამორტიზებული და მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაში 40 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, რომელიც საქართველოს მთავრობამ გამოყო.

სექტემბერში, ახალ სასწავლო წელს მუნიციპალიტეტში 3 ახალი ბაღი გაიხსნება - ხორნაბუჯში, არხილოსკალოსა და საბათლოში. ჩვენი მომავალი თაობა სოფლად სკოლამდელ განათლებას მიიღებს ისეთ სივრცეში, რომელიც ქალაქში არსებულ ბაღებს გაუთანაბრდება და, ზოგ შემთხვევაში, აჯობებს კიდეც.

ჩვენს მუნიციპალიტეტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ერთდროულად მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ხორციელდება, უახლოეს პერიოდში ასფალტის დაგება კიდევ რამდენიმე სოფელში დაიწყება. პროცესი მომდევნო წლებშიც აქტიურად გაგრძელდება. ჩვენი მიზანია, ჩვენს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს ცხოვრების ღირსეული პირობები როგორც ქალაქად, ასევე სოფლად“ - აცხადებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ინგა შიოლაშვილი

კოსმოსური ტურიზმი, რომელიც რეალობა ხდება

გვ. 4

„თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი“

გვ.6

კულტურის სახლში კლასიკური მუსიკის ლექცია-კონცერტი გაიმართა

გვ. 2

კულტურის სახლში კლასიკური მუსიკის ლექცია-კონცერტი გაიმართა

დედოფლისწყაროელი მსმენელისთვის ცნობილი ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები სიმებიანმა კვარტეტმა „იბერმა“ შეასრულა.

პროექტს კულტურის სამინისტრო აფინანსებს და მისი მიზანია, საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის კლასიკური მუსიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი კლასიკური მუსიკით დაინტერესება.

„ამ თვის ბოლომდე გვექნება შესაძლებლობა „სინოფარმით“, „სინოვაკითა“ და „ფაიზერით“ მოვიცვათ მოსახლეობა“

„ვფიქრობთ, ამ თვის ბოლომდე გვექნება შესაძლებლობა, სამივე ვაქცინით - „სინოფარმით“, „სინოვაკითა“ და „ფაიზერით“ მოვიცვათ მოსახლეობა როგორც დიდ ქალაქებში, ასევე რაიონებში და სოფლის დონეზეც“,- ამის შესახებ ჟურნალისტებთან ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐᲛ** განაცხადა. მისი თქმით, თვის ბოლომდე საქართველო „ფაიზერის“ ახალ დოზებს ელოდება.

როგორც გაბუნიამ აღნიშნა, ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები მოუთითებს იმას, რომ „დელტა“ შტამის წინააღმდეგ „სინოფარმი“, ისევე როგორც სხვა ვაქცინები, ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილობის პრევენციის კუთხით, თითქმის 100 - პროცენტიან ეფექტურობას აჩვენებს. „შემთხვევების რაოდენობა მაღალია, რაც თავისთავად არის განსაკუთრებული ყურადღების საგანი. მობილიზებული რჩება ჰოსპიტლების ქსელი და მიდის მუშაობა სასტუმროების ქსელის გაფართოებაზე. მოიმატა პედიატრიული შემთხვევების რიცხვმა, იყო ერთეული შემთხვევები მძიმე მიმდინარეობის, სამწუხაროდ გარდაცვალებაც დაფიქსირდა ახალშობილებში, თუმცა, შემთხვევების უმეტესობა არის მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის ბავშვებშიც. შედარებით გახანგრძლივებულ ჰოსპიტალიზაციას ვაკვირდებით ბოლო პერიოდში, რაც საყურადღებოა.

ჩვენთვის მთავარი მექანიზმი რჩება ვაქცინაციის პროგრამა, ვაქცინების რაოდენობა ქვეყანაში არის იმდენი, რომ სრულად ეყოს მოსახლეობას, წლის ბოლომდე მოცვისთვის, ეს არის მილიონნახევარი „სინოფარმი“ და „სინოვაკი“. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა ჰოსპიტალიზაციის და სიკვდილობის შემცირება, ორივე ამ ვაქცინას ახასიათებს ძალიან მაღალი მაჩვენებელი ჰოსპილაზაციის და სიკვდილობის თავიდან აცილების კუთხით. ველოდებით ასევე „ფაიზერის“ ახალი დოზების მოწოდებას.

ვფიქრობთ, ამ თვის ბოლომდე გვექნება შესაძლებლობა, სამივე ვაქცინით, (ასევე „ასტრაზენეკათი“ მიმდინარეობს მეორე დოზით ვაქცინაცია) მოვიცვათ მოსახლეობა როგორც დიდ ქალაქებში, ასევე რაიონებში და სოფლის დონეზეც. აცრის მაჩვენებელი 2-3 დღის წინ იყო 12000 - მდე, რაც „ფაიზერზე“ მაღალ აქტივობას უკავშირდებოდა, ახლა ცოტა შემცირდა და 7000- მდე რჩება, ვფიქრობ მომდევნო დღეებში აცრის მაჩვენებელი მოიმატებს, არის 330 ბრიგადა ქვეყნის მასშტაბით მობილიზებული და თითოეულს შეუძლია დღის განმავლობაში 70- 100 აცრის ჩატარება, ჩვენთვის სამიზნე მაჩვენებელი არის 20 000- ის ზევით ასვლა,"- განაცხადა გაბუნიამ.

კახა კალაძე - ჩემი საარჩევნო სლოგანი იქნება - „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“

ჩემი საარჩევნო სლოგანი იქნება- „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“, - ამის შესახებ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ სოციალურ ქსელში ვიდეომიმართვისას განაცხადა. მისი განმარტებით, უმთავარი ღირებულება იყო და არის სიცოცხლე, რაც პანდემიამ კიდევ ერთხელ დაანახა ყველას. კახა კალაძის თქმით, დღეს თბილისს სჭირდება მეტი განვითარება, მეტი რეკრეაციული სივრცეები, მეტი ინფრასტრუქტურული პროექტები, მეტი სიცოცხლე ყველა უბანში.

„თქვენ იცით, ბოლო 2 წლის განმავლობაში რა გამოწვევის წინაშე დადგა მსოფლიო, რამაც გვაიძულა დაფიქრება და დღეს უკეთ ვიცით, რამდენად ძვირფასი, რამდენად მნიშვნელოვანია სიცოცხლე. პირველ რიგში, ყველას ჯანმრთელობას ვუსურვებ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს! ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს სირთულეები გადავლახოთ. ამიტომ, ჩვენი სლოგანი ემყარება იმას, რომ გვინდა მეტი საქმის კეთება, მეტი სიმწვანე, მეტი რეკრეაცია, მეტი მოწესრიგებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, უფრო მეტ ადამიანს დავეხმაროთ, მეტი საბავშვო ბაღი აშენდეს... ჩვენი საარჩევნო სლოგანი და დაპირება იქნება „მეტი სიცოხლე ყველა უბანში“! მზად ვარ, ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვინც მუნიციპალიტეტში მუშაობს, 24-საათიან რეჟიმში ვიმუშავო, რათა მეტი სიცოცხლე შევიტანოთ ჩვენი თბილისის ყველა უბანში,“- განაცხადა კახა კალაძემ. თბილისის მერმა მადლობა გადაუხადა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ გამოცხადებული ნდობისთვის და ხაზი გაუსვა საარჩევნო ბრძოლაში თბილისელების მხარდაჭერის მნიშვნელობას.

„მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს გუნდს, რომ მომცა შესაძლებლობა, ჩავერთო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და ისევ ვიბრძოლო თბილისის მერობისთვის. განსაკუთრებული მადლობა თქვენ, ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს, თბილისელებს იმ მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, რასაც ამ 4 წლის მანძილზე ვგრძნობ. ეს მხარდაჭერა დასაფასებელია და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი ძალისხმევით, ამ ქალაქისთვის განხორციელებული პროექტებით დაგიბრუნოთ უკან ეს სიყვარული, რომელსაც ყოველდღიურად ვიღებ,“-აღნიშნა კახა კალაძემ.

დასაქმებულებს ბრალეულობის დადგენის გარეშე, დანაკლისით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ვეღარ მოსთხოვენ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐ. ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲓᲐᲛᲡᲐᲥᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲑᲠᲐᲚᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲡᲐᲡᲐᲥᲝᲜᲚᲝ-ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲖᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲜ.

ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ შემთხვევებში, სხვადასხვა ორგანიზაციის შრომის შინაგანაწესში არსებული ჩანაწერების მიხედვით, ყველა დასაქმებული დამსაქმებლისათვის მიყენებულ ზიანზე კოლექტიურ პასუხისმგებლობას იღებდა. დასაქმებული ვალდებული იყო აენაზღაურებინა დანაკლისი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვერ დგინდებოდა პროდუქციის თუ თანხის დანაკლისის მიზეზი. ასევე, დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო ერთ-ერთი დასაქმებულის მხრიდან არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოს გამო პასუხისმგებლობა გაევრცელებინა სხვა დასაქმებულებზეც. სხვადასხვა შემთხვევაში, დასაქმებულს კაბალური პირობების დაკმაყოფილება და პასუხისმგებლობის კერძო საკუთრებით - უძრავი ან მოძრავი ქონებით უზრუნველყოფაც უხდებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილთან დაკავშირებით, შრომის ინსპექციის სამსახურმა დაასკვნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა კომპანიის მიერ არ არის ცნობილი ზიანის მიმყენებელი კონკრეტული დასაქმებულის ვინაობა, მატერიალური პასუხისმგებლობის კოლექტიურად გადანაწილება სცდება კანონით დადგენილ დასაქმებულთა პასუხისმგებლობის შრომის კოდექსით დადგენილ ფარგლებს. კომპანიაში მოქმედი „კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“ ხელშეკრულებები მკვეთრად აუარესებს დასაქმებულთა მდგომარეობას და ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კანონმდებლობას. შესაბამისად, კომპანია ვალდებულია თანამშრომელთა პასუხისმგებლობის სახეები განსაზღვროს ინდივიდუალურად“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ქართული პროდუქციის ექსპორტი 27,6%-ით გაიზარდა - რა პროდუქტებს და სად ვყიდით ყველაზე დიდი რაოდენობით?

2021 წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 1,884 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 25.2 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. საქსტატის ცნობით, ექსპორტი რეექსპორტის გარეშე (ადგილობრივი ექსპორტი), მთლიანი ექსპორტის 73.1 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27.6 პროცენტით გაიზარდა და 1, 377 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

2021 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 79.8 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია:

ჩინეთი (274.0 მლნ. აშშ დოლარი)

რუსეთი (239.5 მლნ. აშშ დოლარი)

თურქეთი (155.6 მლნ. აშშ დოლარი).

ამასთან, 2021 წლის იანვარ-ივნისში ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები არის წარმოდგენილი 391.0 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 28.4 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ფეროშენადნობები 186.3 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 13.5 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილს იკავებს ყურძნის ნატურალური ღვინოები 103.4 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 7.5 პროცენტი).

პარლამენტმა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები დაამტკიცა

პარლამენტმა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები დაამტკიცა. საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი, რომელიც რიგგარეშე სხდომაზე ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ წარადგინა, 85-ხმით, ერთხმად მიიღეს.

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებებით, მთლიანი შიდა პროდუქტი 3.4%-დან, 7.7%-მდე იზრდება. დეფიციტი მცირდება 7.6-დან 6.9%-მდე. სამთავრობო ვალი 54.6%-მდე მცირდება. ბიუჯეტის შემოსულობები 1 მილიარდ 175 მილიონი ლარით იზრდება. მთავრობა ზრდის გადასახდელებს 1 მილიარდ 114 მილიონი ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მომავალ წელს თითქმის 19.5 მილიარდი ლარი დაიხარჯება. გიორგი კაკაურიძის განმარტებით, ეკონომიკური ზრდის განახლებული პროგნოზი, 7.7 პროცენტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაადასტურა. „იმ შემთხვევაში, თუ ოპტიმისტური სცენარი განვითარდა, ჩვენ სრულად მივმართავთ დამატებით რესურსებს დეფიციტის შესამცირებლად. იმედი გვაქვს, შესაძლებელი იქნება დეფიციტის კუთხით 6.5%-ზე ჩამოვიდეთ", - განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

კორექტირებულ ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები განხორციელებულია სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის მწარმოებლური სექტორის პროგრამების ხელშეწყობის და ასევ, პანდემიასთან დაკავშირებული ჯანდაცვის ხარჯების მიმართულებით. პანდემიასთან დაკავშირებით, ჯანდაცვის ხარჯებისთვის 446 მილიონი იქნა დამატებული და ჯამში, 846 მილიონი ლარი შეადგინა. დაახლოებით 150 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული ვაქცინაციისთვის, რაც მთავრობის ინფორმაციით, სრულყოფილად ფარავს მოსახლეობის 60 პროცენტიანი მოცვის ნიშნულს.

20 ივლისი ჭადრაკის საერთაშორისო დღეა!

1966 წლიდან 20 ივლისს ჭადრაკის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ინტელექტუალური თამაში ჭადრაკი VI საუკუნეში ინდოეთში გამოიგონეს და მას თავდაპირველად ჩატურანგა ერქვა.

მასში ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები. თამაში ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციის განვითარებას. საქართველოში ჭადრაკის მოყვარულთა წრე პირველად 1877 წელს შეიქმნა.

ქართული პროფესიული ჭადრაკის სათავეში დგას ანდრია დადიანი - ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის უმცროსი შვილი.

ნახევარი მილიონი დოზა „ფაიზერი“ საქართველოშია

საქართველოში კოვიდსტატისტიკა კვლავ მძიმეა. ახალი კორონავირუსის ძველ შტამთან ერთად ახალი შტამებიც გამოჩნდა და უსულგულოდ ხელიდან გვაცლის ადამიანებს... გადავსებულია ბავშვთა კლინიკებიც... მედიკოსები იბრძვიან პაციენტების სიცოცხლისათვის, მაგრამ ბევრჯერ მათი მცდელობა უშედეგოდ მთავრდება.

საზოგადოება ორადაა გაყოფილი: ვაქცინაციის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. კვალიფიციური მედპერსონალი ამბობს, რომ პანდემიის დამარცხების ერთადერთი გზა ვაქცინაციაზე გადის, ანტივაქსერები კი მათ მოღალატეებად რაცხავენ და ვაქცინაციის შესაძლო გართულებებზე საუბრობენ.

აქამდე საქართველოში ბევრი ელოდა „ფაიზერს“ და ამბობდა, რომ მხოლოდ ამ ვაქცინით აიცრებოდა. 24 ივლისს „ფაიზერის“ კიდევ ერთი პატია შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში.

„ჩვენ ახლა აქტიურად უნდა დავიწყოთ ვაქცინაციის პროცესი. ჩვენ გვაქვს სრული მზაობა, რომ მოსახლეობაში დავიწყოთ აქტიური კომუნიკაცია, აქტიური კამპანია“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განაცხადა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გადმოცემული ნახევარი მილიონი დოზა „ფაიზერი“ ჩამოვიდა.

მთავრობის მეთაურის თქმით, აუცილებელია, რომ ვაქცინაციის პროცესი გაფართოვდეს, რისთვისაც სრული მზაობაა.

„ქალბატონო ელჩო, მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი მთავრობისა და ხალხის სახელით. მე მინდა მადლობა გადავუხადო ამერიკის პრეზიდენტს, ბატონ ჯო ბაიდენს, ამერიკის მთავრობას და ამერიკელ ხალხს ამ დახმარებისთვის. ნახევარი მილიონი დოზა „ფაიზერი“ დღეს საქართველოშია. კიდევ ერთხელ მადლობა ამ დახმარებისთვის. ჩვენ ახლა აქტიურად უნდა დავიწყოთ ვაქცინაციის პროცესი. ჩვენ გვაქვს სრული მზაობა, რომ მოსახლეობაში დავიწყოთ აქტიური კომუნიკაცია, აქტიური კამპანია. აუცილებელი არის, რომ ვაქცინაციის პროცესი გაფართოვდეს და ჩვენ ამისთვის სრული მზაობა გვაქვს. მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ამერიკის მთავრობას გადავუხადო მადლობა იმ დახმარებისთვის, რომელიც ამერიკამ გაუწია საქართველოს კოვიდ პანდემიის მართვის დროს და მის შემდეგ და ახლა უკვე კონკრეტული დახმარებისთვის - „ფაიზერის“ ვაქცინის მოწოდებისთვის.

ამას გარდა, ჩვენ ერთი მილიონი დოზა „ფაიზერი“ გვაქვს შესყიდული უშუალოდ მომწოდებელთან, „ფაიზერის“ კომპანიისგან ვიყიდეთ ერთი მილიონი დოზა, რომელიც ძალიან მალე ჩამოვა საქართველოში, ამის მოწოდებაც დაიწყო.

კიდევ ერთხელ, მინდა ჩვენს მოსახლეობას მივმართო თხოვნით, რომ ყველა ჩავერთოთ ამ კამპანიაში და ყველამ ავიცრათ, დავიცვათ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ჯანმრთელობა, ჩვენი მეგობრების, მშობლების, ახლობლების, ოჯახის წევრების ჯანმრთელობა. მადლობა ჯო ბაიდენს, მადლობა ამერიკას“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დეგნანის თქმით, „ფაიზერის“ ნახევარი მილიონი დოზა პრეზიდენტ ჯო ბაიდენისა და ამერიკის მთავრობის საჩუქარია ქართველი ხალხისთვის საქართველოსა და ამერიკის მეგობრობის ნიშნად. ელჩის შეფასებით, აშშ მოხარულია, საქართველოს გადასცეს სიცოცხლის გადამრჩენელი ვაქცინა, როგორც ნაწილი აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობისა.

„აშშ-მა მხარი დაუჭირა ძალისხმევას საქართველოში მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის კუთხით პანდემიის დასაწყისიდანვე და ახლა ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რასაც შეუძლია, ნამდვილად შეებრძოლოს გლობალურ პანდემიას, ეს გახლავთ უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინა. **500 ათასი დოზა „ფაიზერის“ ვაქცინა დაემატება იმ 9 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დახმარებას, რაც აშშ-მა გაუწია საქართველოს პანდემიის გავლენის შესამსუბუქებლად. მათ შორისაა 3 განსაკუთრებით დაბალ ტემპერატურაზე მომუშავე მაცივრის გადაცემა, ასევე ჟანგბადის გამომმუშავებელი აღჭურვილობის გადაცემა თბილისის ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოსთვის, რომელიც უზრუნველყოფს 300 პაციენტისთვის საჭირო რაოდენობის მაღალი ხარისხის ჟანგბადის მიწოდებას“,** - განაცხადა ელჩმა დეგნანმა.

დიპლომატმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძეს და სამინისტროს თანამშრომლებს დაუღალავი შრომისა და შესანიშნავი კოორდინაციისთვის, რომლებმაც უზრუნველყვეს, რომ ჩამოსული ვაქცინა დროულად მივიდეს ქართველ ხალხთან.

„მოვუწოდებ ყველას, ვისაც ეკუთვნის ვაქცინაცია საქართველოში, ისარგებლოს ამ შემთხვევით და აიცრას რაც შეიძლება სწრაფად, რადგან ეს არის საუკეთესო გზა თქვენი და თქვენთვის ძვირფასი ადამიანების ჯანმრთელობის დასაცავად და ეს არის ერთადერთი გზა ეკონომიკის აღდგენისთვის. მე უკვე გავიკეთე „ფაიზერის“ ორი დოზა, ასევე საელჩოს გუნდის უმეტესმა ნაწილმა. ასე, რომ მე გირჩევთ და მოგიწოდებთ, აიცრათ“, - განაცხადა აშშ-ის ელჩმა.

„დღეს, 2021 წლის 24 ივლისს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ საჩუქრით მომავალ რამოდენიმე თვეში სიკვდილს და დასახიჩრებას გადაარჩინა უფრო მეტი ქართველი, ვიდრე რაც ჯამში დავკარგეთ ჯარისკაცი აფხაზეთის ომში. არ მოგეჩვენათ - ნამდვილად ასეა, შეგიძლიათ მარტივად დაითვალოთ თუნდაც 1%-იანი სიკვდილიანობის გამოყენებით (ახლა კიდევ უფრო მეტი გვაქვს) 250,000 სრულად აცრილზე - რამდენი გადარჩენილი სიცოცხლეა.

ოღონდ ერთი მძიმე რეალობაა: ჩვენ ამ სიკვდილს შევეჩვიეთ, როგორც ერი. შეიძლება ვცდები, მაგრამ ყოველდღე ინტენსიურ განყოფილებებში, მრავალდღიანი ტანჯვის შედეგად გარდაცვლილ ათეულობით ინტუბირებულ ქართველს ნაკლებად განვიცდით, ვიდრე ომში დაღუპულ ერთეულებს.

ეს მაგალითი ცოტა დელიკატური საკითხია შედარებისთვის, და ბევრს არ გავაგრძელებ, მაგრამ მინდოდა თვალსაჩინოებისთვის მომეყვანა, რათა არ დაგვავიწყდეს. რომ ადამიანთა სიცოცხლის და ქვეყნის ეკონომიკური ზარალის მხრივ - არანაკლებ ომში ვართ. უბრალოდ შენობები არ ინგრევა და თოფებს არ ისვრიან.

იმედია, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა არ დარჩება მორიგ ერთდღიან ტაშისკვრად და „მნიშვნელოვან სიახლედ“ მედიაში, და ქართველი ხალხი გააზრებულად და შეგნებულად მიხვდება, რომ ალოგიკურია, საქართველოში თუ მთელს მსოფლიოში ამდენ კვალიფიციურ ექიმს, მეცნიერს, ქვეყნის მმართველებს მათთვის ცუდი უნდოდეს, და ერთეულ კონსპირაციული თეორიების შემთხზველებს - მათთვის კარგი.

დაფიქრდით თქვენთვის – ახლა ნებისმიერი სხვა დაავადებით ცუდად რომ იყოთ – რომელ ექიმს ინატრებდით თქვენთვის რომ მოეხედა. და თუ ყველაფერს სხვაში ენდობით ამ ექიმს – გაუგებარია კოვიდის საკითხში რატომ უჯერებთ (ან თუნდაც განიხილავთ) მათ, ვისაც თითისაც არ დააკარებინებდით თქვენზე ან თქვენს ოჯახის წევრზე“ - წერს ექიმი ლადო მრელაშვილი.

32 მილიარდი ლარი ინფრასტრუქტურისა და რეგიონების განვითარებისთვის

მომდევნო 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 32 მილიარდი ლარი დაიხარჯება ინფრასტრუქტურის და რეგიონების განვითარებაში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 10-წლიანი განვითარების გეგმის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 32 მილიარდი ლარი ინფრასტრუქტურას, გზებს, ხიდებს, წყალს მოხმარდება იმისთვის, რომ ყველა მუნიციპალიტეტში შეიცვალოს მთლიანი სურათი. პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს უნდა იყოს ევროპეიზაციის და მოდერნიზაციის გეგმა და დონორებს აქტიური დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩვენი გეგმის მიხედვით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 32 მილიარდი ლარი დაიხარჯება ინფრასტრუქტურისა და რეგიონების განვითარებაში. მოგეხსენებათ, დღეს ძალიან ბევრი პროექტი ხორციელდება ქვეყანაში. ეს არის გზების, ხიდების მშენებლობა. ზოგადად, ჩვენ დავიწყეთ ყველა მუნიციპალიტეტში ურბანული განახლების პროექტები. 63-ვე მუნიციპალიტეტში დაიწყება ურბანული განახლების პროექტი, რაც გულისხმობს რეალურად ევროპული განვითარების, ევროპული სულისკვეთების შეტანას ყველა მუნიციპალიტეტში. ამას გარდა, მოგეხსენებათ, რომ გამოწვევები რჩება დღეს ჩვენს ქვეყანაში. თითქმის 3000-მდე სოფელს არ აქვს ხარისხიანი წყალი. გამოწვევად რჩება როგორც საქალაქთაშორისო, ისე შიდა გზების შენახვა-რეაბილიტაცია- აღდგენა, ასევე ცენტრალური მაგისტრალების მშენებლობის დასრულება. შესაბამისად, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი და მთავარი აქცენტი სწორედ რეგიონების განვითარებაზე და განახლებაზე იქნება მომდევნო წლების განმავლობაში. 32 მილიარდი ლარი მოხმარდება რეგიონების განვითარებას, ინფრასტრუქტურას, გზებს, ხიდებს, წყალს იმისთვის, რომ რეალურად ყველა მუნიციპალიტეტში შეიცვალოს მთლიანი სურათი, მთელი ქვეყნის მასშტაბით და რეალურად, ეს უნდა იყოს ევროპეიზაციის, განახლების, მოდერნიზაციის გეგმა. რა თქმა უნდა, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს დონორებთან. მინდა, კიდევ ერთხელ ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა მათ აქტიური დახმარებისთვის“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

10-წლიანი განვითარების გეგმის პრეზენტაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ გამართა. ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, სახელმწიფო რწმუნებულები, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები დაესწრნენ.

გვერდი მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

კოსმოსური ტურიზმი, რომელიც რეალობა ხდება

ალბათ, უმეტეს ჩვენგანს, ბავშვობაში ხშირად სდომებია კოსმოსში გაფრენა. ეს ჩვენი ბავშვური ოცნება, ანდაც, ინტერესი იყო იმ ჯერ კიდევ შეუცნობელი სამყაროსი, რომელშიც ვცხოვრობთ. დროთა განმავლობაში, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ეს ყველაფერი რეალობად იქცეოდა, მაგრამ დღეს, ეს გასაკვირი ნამდვილად აღარ არის. კოსმოსური ტურიზმი რეალური ხდება, თანაც საკმაოდ ძვირადღირებული.

Space Adventures

კოსმოსური ტურიზმი – კოსმოსური მოგზაურობაა ძალების აღდგენის, დასვენება-გართობის ან საქმიანი მიზნებით. უკანასკნელ წლებში მრავალი ახალი კომპანია გაჩნდა იმ იმედით, რომ შექმნიდნენ კოსმოსური ტურიზმის ინდუსტრიას. ტექნიკურად, კოსმოსური ტურიზმი 2001 წლის აპრილში დაიწყო, როდესაც მილიონერი ინჟინერი დენის ტიტო გაემგზავრა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე (ISS). საჯარო ფასი კომპანიის Space Adventures შუამავლობით, საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბორტიდან რუსულ კოსმოსურ ხომალდ „სოიუზამდე“, 20-40 მლნ აშშ-ის დოლარს წარმოადგენდა 2001-2009 წლებში. ზოგიერთმა კოსმოსურმა ტურისტმა კონტრაქტი გააფორმა მესამე მხარესთან, რათა ჩაეტარებინათ გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ორბიტაზე ყოფნისას. ტიტომ კოსმონავტების ტრენინგი გაიარა ცნობილ ვარსკვლავურ სავარჯიშო ცენტრში რუსეთის მოსკოვის ოლქში. ამის შემდეგ ის „სოიუზის“ რაკეტის ბორტზე გადაიყვანეს, ISS-ში, სადაც თითქმის რვა დღე დარჩა. იქ ყოფნისას მან ჩაატარა კვლევები თავისი კომპანიისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, მან მოგზაურობაში 20 მილიონი დოლარი გადაიხადა.

2001-2009 წლებში Space Adventures-მა ფრენები განახორციელა ექვსი სხვა კოსმოსური ტურისტისთვის, ყველა რუსეთის გავლით და ყველა ISS-ით. ბილეთის ასტრონომიული ფასის მიუხედავად, უნგრელი ბიზნესმენი ჩარლზ სიმონიი ორჯერ წავიდა. Space Adventures-ის მოგზაურობა ISS-ზე 2009 წელს დასრულდა, რადგან რუსეთს აღარ ჰქონდა დამატებითი ადგილები რაკეტებზე. კოსმოსური შატლის „პენსიაზე გასვლის“ შემდეგ, მათი დარჩენილი ადგილები ნასას ასტრონავტებმა დაიკავეს. Space Adventures 2020 წლის დასაწყისში გეგმავდა „Circumlunar მისიი“- ს პირველად დაწყებას. გავრცელებული ინფორმაციით, მოგზაურობა 100 მილიონი დოლარი დაჯდა. Google-ის თანადამფუძნებელმა სერგეი ბრინმა შექმნა 5 მილიონი დოლარის ანაბარი, რათა შეენარჩუნებინა თავისი ადგილი ამ პირველ მოგზაურობებში. Space Adventures არ აქვს ფასების ჩამონათვალი ვებ-გვერდზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ტურისტებს სთხოვენ გადაიხადონ 20-დან 100 მილიონ დოლარამდე, თითო მოგზაურობაში, მათი მომსახურება გამორიცხავს საშუალო კლასის დამსვენებელს.

SpaceX

ილონ მასკის პროექტი, იგივე კომპანია „სპეისიქსი“, იმ თვალსაზრისითაა გამორჩეული, რომ მისი წარმატება კაცობრიობის შორეული მომავლის განმსაზღვრელი შეიძლება იყოს. ამ კომპანიის მთავარი მიზანია რაც შეიძლება გააიაფოს კოსმოსში ტვირთების აზიდვა. მრავალჯერადი რაკეტებით, „ფალკონ 9“, ილონმა გაფრენის საფასური მილიარდებიდან ას მილიონ დოლარამდე დაწია. კომპანია უკვე წარმატებულია და გაფრენის მოლოდინის რიგში სხვადასხვა დაინტერესებული კომპანიებისა და ქვეყნების თანამგზავრები არიან. „სპეისიქსი“ აჩენს ახალ იმედებს, რადგან ამ კომპანიის მთავარ სტრატეგიად ადამიანის მარსზე გამგზავრებაა დასახელებული. ეს იქნება მზის სისტემაში მესამე ციური სხეული დედამიწის და მთვარის შემდგომ, რომელზეც ადამიანს ფეხი დაუდგამს. რაც მთავარია არსებობს გამოცდილებითი გარანტია იმისა, რომ ილონი და მისი კომპანია ამას შეძლებენ, რადგან 2007 წლიდან მოყოლებული პროცესი გეგმაზომიერად და შედეგიანად მიმდინარეობს.

სულ ახლახანს კი კოსმოსურ ტურიზმს ბრიტანელი ბიზნესმენი და ინვესტორი, რიჩარდ ბრენსონი შეუერთდა, რომელიც წარმატებით გაემგზავრა კოსმოსში, Virgin Galactic-ის სარაკეტო თვითმფრინავით. მან მთავარ მიზანს, გაფრენილიყო ამაზონის დამფუძნებელ, კონკურენტ ჯეფ ბეზოსზე ადრე, წარმატებით მიაღწია. კომპანია Virgin Galactic ბრენსონმა 17 წლის წინ დააარსა. ფრენა ჯეფ ბეზოსის გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე განხორციელდა. **„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ახალი კოსმოსური ეპოქის გარიჟრაჟზე“,** – განაცხადა ბრენსონმა თავის ტვიტერზე, ფრენის შემდეგ. ბრენსონის ნანატრი ფრენა სულ 59 წუთი გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ეკიპაჟმა რამდენიმე წუთიანი უწონობა განიცადა. **„ბავშვობიდან ვოცნებობდი ამ მომენტზე“**,– თქვა ბრენსონმა. ბრენსონთან ერთად ხომალდში იმყოფებოდნენ დევიდ მაკაი, მაიკლ მასაუჩი, კომპანიის მთავარი ასტრონავტი – ბეთ მოსესი, Virgin Galactic-ის წამყვანი ოპერაციების ინჟინერი – კოლინ ბენეტი და სირიშა ბანდალა, რომელიც კომპანიის ვიცე-პრეზიდენტია.

ჯეფ ბეზოსმა, რომელიც ბრენსონის კომპანიის კონკურენტია, ტვიტერზე გამოაქვეყნა მიმართვა, სადაც ბრენსონის გუნდს წარმატებას უსურვებდა. ბრენსონის ფრენიდან ცხრა დღეში ჯეფ ბეზოსის კომპანია, Blue Origins გაუშვებს საკუთარ კოსმოსურ ხომალდს სახელად New Shepard, რომელშიც ჯეფ ბეზოსიც იქნება თავის სამ მგზავრთან ერთად. ერთ-ერთი მისი ძმა მარკია, მეორე უოლი ფანკი, 82 წლის ქალბატონი, რომელიც 60 წელია ასტრონავტობაზე ოცნებობს. მესამე ადგილი კი აუქციონზე 24 მილიონად გაიყიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნასას მტკიცებით, ზღვის დონიდან 80 კმ-ზე მაღლა აფრენის შემთხვევაში ადამიანი ოფიციალურად ითვლება კოსმონავტად. 2004 წლის შემდეგ, რაც Virgin Galactic დაარსდა, ბრენსონი თავისი რაკეტით ამ ზღვარის გადაკვეთას ცდილობს. ასევე, ის ახლა ისწრაფვის მიზნისკენ, რომ შექმნას „ორბიტალური სასტუმრო”. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ბრენსონის კომპანიას კრახიც განუცდია. 2014 წელს სარაკეტო თვითმფრინავის პროტოტიპი ჩამოვარდა, საცდელი ფრენის დროს, კალიფორნიაში, რა დროსაც ერთი პილოტი დაიღუპა, მეორე კი დაშავდა.

კოსმოსური ტურიზმისადმი ინტერესი ძალიან სწრაფად იზრდება. ბრენსონის კომპანიის მტკიცებით, მათ აქვთ 600-ზე მეტი დაჯავშნილი ადგილი, 250 000 დოლარად. ასევე, კომპანია 2022 წელს ორ დამატებით ფრენასაც გეგმავს. აქედან გამომდინარე, კოსმოსური ტურიზმი იმაზე მეტად რეალურია, ვიდრე ეს შორიდან ჩანს. მათთვის ვისაც კოსმოსურ სასტუმროებში დასვენება მოგინდებათ, მუხლჩაუხრელი შრომაც ნამდვილად მოგიწევთ, რადგან ფასებიც კოსმოსურია!

ინფექციისთვის დაგებული ნანო მახე შექმნეს ახალი მეთოდი, რომელიც ვირუსებს ამწყვდევს

მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (TUM) მკვლევრებმა ვირუსული ინფექციების მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელიც ინფექციებს უვნებლად აქცევს. შესაბამისი კვლევა ჟურნალ Nature Materials-შია გამოქვეყნებული.

„დნმ-ის ორიგამის” მეთოდის გამოყენებით, მკვლევრები გენეტიკური ქსოვილისგან ნანო-კაპსულებს ქმნიან, რომლებიც ვირუსებს „ამწყვდევენ” და მათ გამრავლების ან უჯრედისთვის ზიანის მიყენების საშუალებას არ აძლევენ.

შეიძლება ითქვას, რომ “დნმ-ის ორიგამი” დნმ-ს სამკუთხოვან ფორმებად განლაგებას უბრძანებს. ვირუსისთვის განკუთვილი „მახეები” ოცწახნაგანოვან სხეულში (რომელსაც 20 სამკუთხა წახნაგი აქვს) ჩააშენეს. სხეულების შიდა კედლები ისეთი მოლეკულებისგან შედგება, რომლებიც ვირუსებთან ქიმიურ ბმებს წარმოქმნის და მათ ამწყვდევს.

მკვლევართა გუნდი წლებია რაც დნმ-ის პროგრამირებაზე მუშაობს. მათი ბოლოდროინდელი ნამუშევარი “ცარიელი ნანო სხეულებია”, რომლებიც ვირუსულ წარმონაქმნებს შთანთქავენ (შინაგან ცარიელ სივრცეში აკავებენ), რათა მათი გავრცელება შეაჩერონ.

„კვლევამ გვიჩვენა, რომ ვირუსული აქტივობის შესამჩნევად შემცირება სწორი ზომის ნახევარსფეროს მახესაც კი შეუძლია. თუ “მახის” შიგნით 5 ბმის წერტილს ჩავაშენებთ, მაგალითად შესაბამის ანტისხეულებს, ვირუსებს 80%-ით დავბლოკავთ. რაც უფრო მეტი ბმის წერტილი გვექნება, მით უფრო შევაფერხებთ ვირუსის გავრცელებას,” – განაცხადა კვლევის თანაავტორმა, ჰენდრიკ დიცმა.



მკვლევრებმა ცდები თაგვების სისხლის შრატზე, ადამიანის უჯრედებზე და ვირუსზე ჩაატარეს. პატარა მახე-სხეულები შრატში 24 საათის განმავლობაში სტაბილურები იყვნენ და ორი ვირუსი, B ჰეპატიტი და ადენოვირუსი დაიჭირეს, რითიც ადამიანის უჯრედების ნიმუშში ვირუსების გამრავლება დაბლოკეს.

ჰენდრიკ დიცი ამბობს, რომ „დნმ-ის ორიგამის” ტექნოლოგია შესაძლოა წამლების ორგანიზმში ტრანსპორტირებისთვისთვისაც გამოიყენონ.

თუM-ის მკვლევარების შემდეგი ნაბიჯი ვირუსის მახეების ცოცხალ თაგვებზე დატესტვაა. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მალე ნანო-სხეულების შეყვანა ადამიანების სხეულებშიც გახდება შესაძლებელი და სპეციალიზებული ვირუსული მკურნალობის შესაძლებლობაც განვითარდება.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რაც მტრობას დაუნგრევია...

საქართველოს ისტორია რამდენადაც ბრძოლისა და გამარჯვებების ისტორიაა, იმდენადვე წარმოადგენს ქართველთა შორის არაერთი დაპირისპირების აღმნუსხველ მატიანეს, რომელსაც შავ ლაქებად გაჰყვება ის ბრძოლები, ქართველებმა ერთმანეთში საუკუნეების წინ რომ „გააჩაღეს“ და რომელსაც მტრის წისქვილზე წყლის დასხმის მეტი არაფერი მოუტანია.

სამწუხაროა, ამ ფაქტების გახსენება, მაგრამ ის რაც შენი წარსულის ნაწილია (და მგონი დღესაც გრძელდება), მას ვერსად გაექცევი. ვერ გაექცევი მის შედეგებს, იმის ანალიზს, თუ რა დასასრული აქვს ძმათა შორის ომს, ბრძოლას, გაურკვევლობას. ცოტა შორეული წარსულიდან რომ დავიწყოთ, 1626 წელი უნდა გავიხსენოთ. ბაზალეთთან მომხდარი ბრძოლა ის მოვლენაა, რომელიც საქართველოს ისტორიაში შავი ასოებით ჩაიწერა. ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძეს შორის მომხდარი ბრძოლა, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ბრძოლაა საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს ბაზალეთთან ქართველებმა ერთმანეთის წინააღმდეგ გაილაშქრეს. შედეგად, საქართველოს ისტორიაში პირველი ძმათა მკვლელი ომი გაჩაღდა. სააკაძის სურვილმა ქვეყნის გაერთიანებისა და თავადთა თვითნებობის ალაგმვისა, ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება გამოიწვია. მათ შეძლეს გიორგი სააკაძესა და თეიმურაზ I-ს შორის მტრობის ჩამოგდება, რომელსაც არ მოსწონდა დიდი მოურავის დამოუკიდებელი ურთიერთობა ოსმალეთის სულთანთან და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან. ქართლში მომხდარი განხეთქილების გამოყენება სცადა ირანის შაჰმა აბას I-მა და თეიმურაზ I-ს შერიგება შესთავაზა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, არის ის, რომ ბაზალეთის ბრძოლაში საქართველოს გაერთიანების დიდი საქმე ჩაიშალა. სააკაძის დამარცხების მთავარი მიზეზი კი გამაერთიანებელ ძალთა სისუსტე იყო. ამ დამარცხების შემდეგ დიდ მოურავს საქართველოში ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. გიორგი სააკაძე უდიდესი ქართველი იყო, მაგრამ უამრავი აზრი და ეჭვი არსებობს მის ჭეშმარიტ მამულიშვილობასთან დაკავშირებით. ქართველი ხალხის აზრი ორად არის გაყოფილი და დღემდე ცდილობენ გარკვიონ სინამდვილე. ფაქტია, რომ სააკაძემ დაუშვა ერთი დიდი შეცდომა ბაზალეთთან ძმათა მკვლელ ომში ჩაბმით. თუმცა, ამავდროულად, ის უდიდესი ქართველი იყო, რომელსაც მართლა შესტკიოდა გული საქართველოზე და ცდილობდა ქვეყანა იმ გზით წაეყვანა, საითაც გამარჯვება და ევრიის გაბრწყინება იქნებოდა.

როგორც ვიცით, საქართველოში უამრავ უცხოელ მოგზაურს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს თუ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელს უმოგზაურია. ერთ-ერთი მათგანი სწორედ **შარდენი** იყო. საქართველოში ჩამოსული უცხოელისათვის ბუნებრივია, არ იყო მარტივი გაეგო და ობიექტურად შეეფასებინა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ჩასწვდომოდა მოვლენათა ჭეშმარიტ არსს, შეეცნო ის თავისებურებანი, რომელნიც ამ უცხო ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი. ამ მიმართულებით შარდენის თხზულებისადმი პრეტენზიები სრულიად ზედმეტი იქნებოდა. მაგრამ აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ ქართულ თუ უცხოურ ენაზე იშვიათია ისეთი ისტორიული თხზულება, რომელშიაც XVII საუკ. 70-იანი წლების საქართველოს ცხოვრება უფრო სრულად იყოს ასახული, ვიდრე ეს შარდენის „მოგზაურობაშია“. სწორედ ამით არის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის შარდენის თხზულება ესოდენ ფასდებული. „მოგზაურობაში“ მოთხრობილი ამბებიდან ზოგი რამ არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, ზოგიც გაუგებარია, ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებსაც, მაგრამ, არც ეს და არც მოვლენებისადმი ავტორისეული ტენდენციურობა, თხზულებაში მოტანილი ცნობების მნიშვნელობას სრულიად არ ამცირებს. ამ ცნობების მნიშვნელობა, უდავოდ, გაიზრდება, თუ მათ ჩამოვაცილებთ ავტორის სუბიექტურ სენტენციებს, სათანადოდ განვმარტავთ, შევაჯერებთ სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან და შესაძლებელი სისრულით აღვადგენთ იმ რეალურ სურათს, რომელიც დახვდა მოგზაურს საქართველოში ჩამოსვლის დროს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ XVII საუკუნის საქართველოს ისტორია დღეს შედარებით კარგად არის შესწავლილი. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის უკლებლივ ყველა მკვლევარი, უხვად იყენებს შარდენის ცნობებს და ეყრდნობა მას, როგორც პირველწყაროს.

* * *

როგორც მოსალოდნელი იყო, შარდენის თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათებას. შარდენმა იცის, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, რომ იგი ერთ დროს ერთიან და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა და, რომ ეს ქვეყანა, უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დაიშალა ცალკე სამეფო-სამთავროებად. იგი ცდილობს, გაიაზროს კიდეც თუ რატომ მოხდა ასე. მოაქვს ქვეყნის დაშლა-დაქვეითების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზები. შარდენს არ შეიძლებოდა სცოდნოდა საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების თავისებურებანი, სათავადოების სისტემის როლი ქვეყნის დეცენტრალიზაციის საქმეში, მაგრამ საკითხისადმი სხვადასხვა კუთხიდან მიდგომა, ამ რთული პრობლემის ახსნის სურვილი, ავტორის უდავო დაკვირვებულობაზე მეტყველებს. თუ ერთგან იგი ქვეყნის დაქუცმაცების მიზეზად იმას თვლის, რომ ერთმა მეფემ თავის ოთხ შვილს დაუნაწილაო სამეფო, მეორეგან უფრო ღრმად წვდება საქმის არსს: „კახეთისა და ქართლის სამეფოებს გარდა - ამბობს იგი - საქართველოში ვასალების მსგავსი მრავალი მცირე მეფეა, რომელთაც ერისთავებს უწოდებდნენ და რომლებიც ერთმანეთში მუდმივად ომობდნენ. ეს გახლდათ მიზეზი, ყოველ შემთხვევაში საბაბი მაინც, რამაც ქართველების დაცემა გამოიწვია“ - აქ შარდენს ისტორიკოსის ალღო უდავოდ არ ღალატობს. შარდენის ჩამოსვლის წინა ხანებში დასავლეთ საქართველოში შინა პოლიტიკურმა არეულობამ კულმინაციას მიაღწია. საყოველთაო ანარქია სუფევდა. აფხაზი მთავრები მოსვენებას არ აძლევდნენ სამეგრელოს. დადიანი და გურიელი ხან ერთმანეთს ებრძოდნენ და ხან იმერეთს არბევდნენ. შემდეგ სურათი კვლავ იცვლებოდა. დამარცხებული მაშველ ძალას იშოვნიდა და ახლა ის ზეიმობდა დროებით გამარჯვებას და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლივ. ძმა ძმას არ ინდობდა და ნათესავი ნათესავს. ერთმანეთის დატყვევება, თვალების დათხრა, თავის მოკვეთა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. ამას ემატებოდა თვით სამეფო-სამთავროებში შინაური აშლილობა. დიდებულები თავიანთ პატრონებს არ ეპუებოდნენ, რაც არანაკლებ ზიანს აყენებდა ქვეყანას. მეფეპოეტი არჩილი, რომელიც თვითონ იყო ამ ამბების მომსწრე და უშუალო მონაწილე, შესანიშნავად ახასიათებს ქვეყნის ამ ბედუკუღმართობას:

„ალაღდებიან თავადნი, ერთი მეორეს აიტანს.
ერთი მეორის სიკვდილად მოვა ამხანაგს მოიტანს,
ერთმანეთს ხოცვა დაუწყეს, თავს აშორებენ მოიტანს”.



განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო იმერეთი. შარდენის თქმით, ეს ერთ დროს „მდიდარი ქვეყანა”, XVII საუკუნის 70-იან წლებში „ესრეთ იწროებასა, ოწრებასა და მწუხარებასა შინა იყო ხუთს წელიწადს, რომ ესე ვითარი არაოდეს მოსულიყო ესრეთი შფოთი და ურვა, მას აქეთ არავინ ისმინოს და არცა ვის სმენოდეს“. დროის ყველაზე მკვეთრ ნიშანსვეტად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამ დროს სულ რამდენიმე წლის მანძილზე, იმერეთის სამ მეფეს „აღმოხადნენ თვალნი და განაძეს”. უკეთეს პირობებში არც სამეგრელო, გურია და აფხაზეთი იყო. ქვეყანაში შექმნილი ასეთი მძიმე სიტუაციის შედეგად განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალი ფენები, გლეხობა ზარალდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო. ქართლსა და კახეთში ერთგვარად ხელსაყრელი პირობა შეიქმნა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის. თუმცა ამას გარკვეული დრო მაინც დასჭირდა.

შარდენი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზეც, რომ საფეოდალოებს (სათავადოებს), რომლებიც გარკვეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, სასამართლო შეუვალობაც აქვთ. ამა თუ იმ ბატონის გლეხების დავა წყდება მათივე ბატონების მიერ, თვით ფეოდალებს შორის კი უთანხმოება მხოლოდ იარაღის ძალით შეიძლება მოგვარდეს. ისინი თავს ესხმიან ერთმანეთს და ამის შესახებ მთავარმა (მეფემ) შეიძლება ვერაფერი გაიგოს, თუ დაზარალებული შველას არ თხოვს მას. მთავარი (მეფე) მოარიგებს მოდავეებს, მაგრამ მათ შორის დაზავება გრძელდება მხოლოდ შურისძიებისათვის ხელსაყრელ მომენტამდე. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ფეოდალები საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს, არც მეფე-მთავრებს უწევდნენ ანგარიშს და არც ერთმანეთს ეპუებოდნენ.

შიდა დაპირისპირებებს, რა თქმა უნდა, ყოველთვის ჰქონდა ადგილი, მაგრამ ხშირად, სწორედ უმსხვერპლო კომპრომისები და სწორად განსაზღვრული პოლიტიკა წყვეტდა ქვეყნის შიდა და საგარეო მდგომარეობას. „შიდა ომებით დასუსტებულ ჩვენს ქვეყანას ხშირად სწორედ „ეშმაკები“ ეპატრონებოდნენ. იარა, იარა, ასე ჩვენმა ქვეყანამ და ბოლოს მივედით იმ მდგომარეობამდე, რომ ნამდვილი პატრონის მოლოდინში ერთ კუთხეს მეორისა არ ესმოდა, ქვეყნის განაპირა ნაწილს დედაქალაქისა, ძმა ძმას არ ინდობდა, სოფელი სოფელს, ნათესავი ნათესავს. ხელები, ფეხები, თვალები, პირი და ყურები რომ ერთმანეთს აუჯანყდნენ, განა ადამიანის სხეული იცოცხლებს?! ცხადია ვერა. ჩვენში კი გურიის კომიტეტი ცალკე „გამოცხვა“, ლეჩხუმის თავისთვის ყოყლოჩინობს, სომხით საქართველო ბუზღუნობს და ყოველი „ვაჭარი“ თავისებურად სწონის და ზომავს, ყოველი სოფელი თავისებურ გამგეობს.“ ერისგან რჩეული მთავრობა გვყავდა და მას წინ ეღობებოდნენ. ანუ მის საქმიანობას წელშივე აჩლუნგებდნენ სხვა და სხვა ყაიდის მმართველი წრენი. **ასეთი გაურკვევლობა რას მოასწავებდა? - ჩვენს უეჭველ დაღუპვას მტერთა სასიხარულოდ, რადგან თითოეული მხრიდან ცეცხლი ნაგვიკიდეს, შინ თუ გარეთ.... ქვეყნის ასეთი სავალალო მდგომარეობა, ჩვენი ერის რჩეულმა შვილებმა ასწონდასწონეს, მოსალოდნელი უბედურება გაითვალისწინეს და ახალი საქართველოს სათავეში, ჩვენი ქვეყნის პატრონად ნოე ჟორდანია ჩააყენეს.** ვინ არის ნოე ჟორდანია? ვინც ანი და ბანი იცის საქართველოს დემოკრატიის, ეცოდინება, რომ ნოე ჟორდანიამ, მთელი თავისი სიცოცხლე ქართველ ხალხში დემოკრატიული იდეების გამოფხიზლებას შესწირა. ახალი დემოკრატიული საქართველოს შექმნასა და შიდა თუ გარე სტაბილურობას მოახმარა მთელი თავისი ენერგია, დაიცვა ქვეყნის საგანძური და ეროვნული ღირსება. ეს ის ნოე ჟორდანიაა, რომელმაც ძველი თვითმპყრობელობის დასამხობად თითქმის მთელი 30 წელიწადი იბრძოლა და თუმც მრავალი ტანჯვა მიაყენეს, მაინც არ შედრკა, ხალხის სასიკეთოდ აღმართული დროშა ერთხელაც არ დაუშვია ძირს და ბოლოს მანვე გამოაცხადა საქართველოს თავისუფლება - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

შემდგომ იყო სამოქალაქო ომი. სამოქალაქო ომმა უდიდესი დარტყმა მიაყენა როგორც ქვეყნის განვითარებას, ასევე მის არსებობას, მის ეროვნულობას. ამ პერიოდში, საქართველოს არათუ განვითარების, არამედ თვითარსებობის შენარჩუნების ყველანაირი პერსპექტივა დაკარგული ჰქონდა. არასტაბილური ქვეყანა კი, შესანიშნავი პოლიგონია საკუთარი პოლიტიკური კონცეფციებისა და სპეც-სამსახურთა უახლოესი ტექნიკის და ტექნოლოგიის აპრობირებისათვის. ჩვენმა მტერმა ისიც ძალიან კარგად იცოდა, რომ ომს საკუთარი, ობიექტური ლოგიკა აქვს, რომელიც მხოლოდ პირველ ხანებში ემყარება გარკვეულ ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობით სქემას. შემდეგ კი, როდესაც მებრძოლი მხარეები (ეს გარდაუვალია) შესაბამის სოციალურ ბაზებს შექმნიან, - ეკონომიკურ, ტერიტორიულ, ეთნიკურ სტრუქტურებს ჩამოაყალიბებენ, - სამოქალაქო ომი ამ სტრუქტურებისა და სისტემების ბრძოლად გარდაიქმნება და სწორედ მაშინ იქცევა იგი „მარადიულ ომად“.

„მარადიული ომის“ მიღმა კი არსებობს ასეთი რამ: ჩვენი მიკროსამყაროს მიღმა არსებული მტერი, რომელიც გვირღვევს ამ მიკროსამყაროს და უაზრობად აქცევს ჩვენს არსებობას. შიდა დაპირისპირებების, თუკი სასწორის რომელიმე მხარემ იმძლავრა, მაშინვე, უჩუმრად ჩაერევა „მესამე ძალა“ და სასწორს კვლავ გააწონასწორებს თავისი ყოვლისშემძლე, ძლიერი ხელით. საზოგადოება დღეს ჯერ კიდევ აღელვებით ადევნებს თვალს ამ დაპირისპირებას - კამათობს, იმედოვნებს, მხარს უჭერს, სწყევლის, მაგრამ სულ მალე ესეც გაქრება და ქვეყანას, ხალხს, მოსახლეობას სრული აპათია დაეუფლება - მისთვის უკვე სულერთი გახდება, ვინ გაიმარჯვებს ან ვინ დამარცხდება, როდის აფეთქდება კინოთეატრში დამალული პლასტიკური ბომბი, სად აიყვანენ ბავშვებს მძევლად და ა.შ. აი, მაშინ იქცევა ქართული სამოქალაქო ომი „გასისხლიანებულ მარიონეტთა“ კლასიკურ ბრძოლად. ზუსტად ისეთად, როგორიც მრავლადაა დღევანდელ, სასტიკ და დაუნდობელ მსოფლიოში. ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაგვიცნობიერებია, რის წინაშე ვდგავართ. შიდა დაპირისპირებებმა სიღარიბემდე, ქვეყნის წინსვლის შეჩერებამდე, ურთიერთდაუნდობლობამდე, შურისძიებამდე, შუღლამდე და ეროვნულობის დაკარგვამდე შეიძლება მიგვიყვანოს. თუმცა, გამოსავალი ყოველთვის არსებობს - სამშობლოზე ფიქრით გაჯერებული და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა, მრავალჭრილში დანახული მოვლენათა ანალიზი, ყველაფრის გამოსავლად შეიძლება მივიჩნიოთ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი“

ვინაიდან წელს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 160 წელი შესრულდა, გვინდა რამდენიმე დებულება შევახსენოთ ჩვენს მკითხველს მისი პუბლიცისტური წერილებიდან („რას ჰქვიან თავისუფლება” და „რა არის თავისუფლება”), რომლებიც პირდაპირ ეხმიანებიან დღევანდელობას და ეხებიან თავისუფლებას, დემოკრატიას.

„რას ჰქვიან თავისუფლება“

„თავისუფლება მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისთვის (უმრავლესობა) წართმეული ბედნიერებაა. თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სჩაგრავს, ტუსაღობა, თავისუფლების წართმევა, ფრინველს და ცხოველსა ჰკლავს, რა თქმა უნდა, ხეირს არ დააყრის არც საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა კრებულია. როცა დამონებაში იმყოფება ქვეყანა, თავისუფლებას მოკლებული, იგი დამწყვდეულია ციხეში. ის როდი კმარა მარტო, რომ როცა უნდა გამოვიდეს და ისეირნოს ქუჩაზე, იმღეროს, ითამაშოს, შეირთოს ცოლად ის ქალი, ვისაც იგი მოსწონს და ვინც მას მოსწონს; მაგრამ ამავე დროს აკლია სახსარი ცხოვრებისა, არა აქვს მოსახნავი მიწა, მოსწონს იქვე ახლო მდებარე ნაფუძარი და არ აძლევს ნებას მიწის პატრონი, რომელსაც ათასი ამისთანა ნაჭერი მიწა სხვა აქვს”.

„საზოგადოება აუარებელი ზნეჩვეულებით, აზრებით, წესებითაა სავსე, რომელთა შორის მრავალი უვარგისი და პირდაპირ დამღუპველი ადამიანისა, შემბოჭველი იმის თავისუფლებისა, საღის მსჯელობისა”;

„თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავმოყვარეობა ორგვარია: ბრიყვული და გონივრული. ბრიყვული, როცა ადამიანი მარტოდმარტო თავის თავზე ზრუნავს, მხოლოდ ფიქრობს მას: „მე ვირგო და სხვა წყალმა ზიდოსო. მე მქონდეს უფლება სხვა შეურაცხვყო, და სხვას კი არა ჰქონდეს ნება პასუხი მომთხოვოს. მარტო მქონდეს ნება ვძარცვო და მეორეს კი მოესპოს საშუალება თავის დაცვისა”, სხვის უფლება, ადამიანობა შელახოს დაუსჯელად, ხელშეუბრუნებლად. ამისთანა ადამიანი მსგავსია მხეცისა, იგივე მხეცია და მისი თავმოყვარეობა არის მხეცური. მგელიც ასე ფიქრობს, ოღონდ თვითონ გაძღეს და იმის ჭირის ნაცვალი იყოს ათასი სული ცხვარი და ათიათასი. არაფერია მგლის ფიქრით ეს ცოდვა, ეს დანაშაული. თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არი”.

„მგელს ადამიანი მაინც სდევნის, თუნდა არაფერს აშავებდეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი. ხოლო მგლად ქცეულს ადამიანს ასე არ უნდა მოვეპყრათ! იმის გაწვრთნა, ჩვენ, - ადამიანთა ხელთ არი, ჩვენ უნდა მოვუსპოთ მას საშუალება, დავუკეტოთ ბილიკები მგლური ინსტიქტების, სურვილების სანავარდო და მორჩა მისი მგლობა”.

„თავისუფლების კანონთა თანახმად, შეიძლება მაშ სხვას ცოლი, ცხენი წაართვა კაცმა, ვსთქვათ, ივანემ პეტრეს, რადგან პირველს მოსწონს პეტრეს ცოლი და ცხენი? არა, თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობების დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა მხოლოდ მაშინ არის შესაწყნარებელი, თუ ამით ჩვენ სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წავართმევთ: რად უნდა წაართვას ივანემ პეტრეს ცოლი, როცა თვით პეტრე არა სწუნობს თავის ცოლს, არამედ მოსწონს და უყვარს იგი? ხომ ცოდოა, უნდა ტანჯვა-დარდში და ვარამში ჩავარდეს კაცი და მისი თავისუფლება შეილახოს. ვსთქვათ, პეტრე წუნობს ცოლს და არც ეწყინება, თუ იგი ივანეს წაჰყვება, მაგრამ შეიძლება თვით პეტრეს ცოლს არ მოსწონდეს ივანე. განა აქვს უფლება, ნება ივანეს შეახოს მას ხელი? არა, ასჯერ არა. ამისთანა კანონებს არ ქადაგობს თავისუფლება. თუ ეს ასეა, მაშ რად ვართმევთ დიდის მამულის, ტყის პატრონს თავიანთ საკუთრებას მამულ-დედულს? ხომ იმასაც უყვარს თავის მამული? მამულის ჩამორთმევით ხომ ვართმევთ იმას თავისუფლებას? ვხელმძღვანელობთ ამ შემთხვევაში სიმართლის გრძნობით თუ არა? იქნება

უსამართლოდ ვიქცევით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. არა, არ ვიქცევით უსამართლოდ და აი რატომ. დიდი მამულის პატრონი ჯერ-ერთი, რომ სხვებს ასს, ათასს ართმევს თავისუფლებას, რადგან სხვის ნაშრომს იტაცებს, სხვას ლუკმას სტაცებს. ეს უწესობაა, უსამართლობა და როგორც უწესობის ჩამდენს, მას უნდა მოუსპოს საშუალება ამ გვარის ყოფაქცევის. მეორე, მამულ-დედული ხომ იმის შრომით შექმნილი არ არის, იგი ღვთისგან ბოძებულია. იგი ძალმომრეობს, როცა ბუნებას სტაცებს მომეტებულს, რაშიც სხვებსაც წილი უდევთ. ყველა ეს საჭირო ერისთვის, როგორც ცალკე ადამიანისათვის, **კანონები უნდა იყოს თვით ხალხის დადგენილი.** მაშასადამე, თავისუფლებამ უნდა მოგვცეს სიამოვნება, შეიძლება უსიამოვნებაც მიერგოს თავისუფალს ადამიანს, როგორც სასჯელი უხეირო საქციელისათვის, მაინც მისი თავისუფლება არ იქნება დარღვეული, რადგან ხალხისაგან შექმნილი კანონი, რომლის დადგენაშიც თვით იმასაც მონაწილეობა აქვს მიღებული, სჯის მას”.

„თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა, უნდა მისცეს სწავლა, განათლება, თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული. უნდა მიანიჭოს ნება, უფლება იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება; იცხოვროს იქ, საცა მოისურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს, უნდა უპასპორტოდ წავიდეს და მოვიდეს საცა უნდა. ვერავინ უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადაწყვეტს. უნდა ილაპარაკო, სწერო საზოგადო საქმეებზე ისე, როგორც შენ გინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრი, დაჰგმო დასაგმობი, აქო საქებარი”.

„რა არის თავისუფლება?“

„თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდობა-მისწრაფებაში, თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი”.

„ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღინთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგრძნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. **საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთგულებას, იქ შეხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას”.**

„იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნება დაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვა და სხვა...”.

„იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა გქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! - სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზომიერ აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დადგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება, როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!!!“.

„არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე” (ე.ი.თავისუფლება)?!“. ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად”.

„თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა”; რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? - თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის”;

„მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, - არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის, ყველა ჩვენგანის, ხალხისათვის”.

„თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი. როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი”.

„ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება”.

„მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება, ცოდნა“.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

საქართველოში გმირი იგივე ანტიგმირია!

მსოფლიო ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიები ძალზე ჰგავს ერთმანეთს, მით უმეტეს, თუ ერთი და იგივე დამპყრობელი ჰყავთ, რადგან იმპერიის პოლიტიკა სხვადასხვა ხალხის მიმართ, თითქმის, ყოველთვის ერთნაირია. გავიხსენოთ დამპყრობლის ერთ-ერთი იდეოლოგიური ფანდი - როგორ ქმნის დამონებული ხალხის ისტორიაში ყალბ გმირებს და ნამდვილი გმირების დისკრედიტაციას ცდილობს.

საქართველოში გმირი იგივე ანტიგმირია. უბრალოდ, მისი დამარცხების შემდეგ, გამარჯვებულები დისკუსიას თავს არიდებენ. არცაა გასაკვირი: ისინი ხომ გმირს ღირებულებათა ერთგულების კი არა, პირადი სიძულვილისა და ბოღმის გამო ებრძოდნენ?! უფრო მეტიც, - ზოგიერთმა შეიძლება სიტყვაც შეაწიოს, მის ღვაწლზეც ისაუბროს. დავაკვირდეთ: ეს კანონზომიერება რა ზუსტად მეორდება ილია ჭავჭავაძის შემთხვევაში. გასული საუკუნის 30-იან წლებში «ერის მამა» სწორედ იმ ადამიანებმა და იმ პარტიის ლიდერებმა უწოდეს, რომლებიც სიცოცხლეში მტარვალსა და სისხლისმსმელს ეძახდნენ. დღესაც მოკრავ ყურს აქა იქ: «გლეხებს რომ წყაროს წყალს არ ასმევდა და არაგვისკენ უთითებდა — არაგვის წყალი თვითონ დაელიაო». გიორგი სააკაძე? შეიძლება ადამიანი ერთდროულად მესიაც იყოს (როგორც მწერალი ლევან სანიკიძე წარმოაჩენდა) და «დედის საფლავის მაგინებელიც?» — თუ დღეს მისი თემა აქტუალური არ არის, მხოლოდ იმიტომ, რომ მეტისმეტად შორეული წარსულია და თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსს ვერანაირად ვერ მიესადაგება. ისევე, როგორც კიდევ უფრო შორეულ წარსულში ჩაძირული დავითი და თამარი, რომლებიც ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. მიუხედავად ბოროტი ენების სისინისა, რომ აღმაშენებლის ურთიერთობა იმდროინდელ საპატრიარქოსთან იდილიურობით სულაც არ გამოირჩეოდა. ეს, თუ ძალიან რბილად ვიტყვით.

ქართული საზოგადოება დღემდე ვერ შეთანხმებულა ძირითად, საერთო ეროვნულ ღირებულებებზე, ესე იგი, გამოდის, დღემდე ვერ ჩამოვყალიბებულვართ საბოლოოდ ერად. ერი ხომ მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ მთავარ, ძირითად ღირებულებებში შეთანხმებულია?! ქვეყანას „ინტელექტუალური ელიტა“ კი არა, დაუსრულებელი ურთიერთსიძულვილი მართავს, რასაც კეთილი ნაყოფი არასოდეს ექნება.

ამ დროს კორონამოდებული ქვეყანა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისშია და ხსნა არსაიდან ჩანს. დღეს დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთთან პირისპირ საუბარიც არ შეუძლიათ, შეურიგებელი პოზიციების დასაფიქსირებლად ცალ-ცალკე ხვდებიან ევროპელ და ამერიკელ მედიატორებს. ვერა და ვერ გამონახეს საერთო ენა. ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, სხვა მეცნიერებმა სასწარაფოდ უნდა შეისწავლონ ეს საკითხი და დასკვნებიც დადონ, თორემ საშველი არ ჩანს. ცუდს თუ ცუდი არ დავარქვით, არც კარგი გვეცოდინება

რამე. ბოლო დროს, სასულიერო პირებიც სინანულ-პატიებაზე უფრო მეტად „დამსახურებულ სასჯელზე“ ქადაგებენ.

ბიბლიურმა მოსემ თანატომელები მონობიდან გამოსაყვანად 40 წელი ატარა უდაბნოში. ჩვენ ქართველები უკვე 30 წელია გზააბნეული ცხვრებივით დავდივართ სიძულვილის „უდაბნოში“ და თუ ჭკუით არ ვიქნებით, დარჩენილი 10 წელიც არ გვეყოფა მონობისგან თავის დასახსნელად. მინიმალური, რაც დღესვე დასაწყებია, დამღუპველი ურთიერთსიძულვილისგან განკურნება უნდა დავიწყოთ, სხვაგვარად არაფერი გვეშველება.

პ.ს. ხშირად ისმის კითხვა: რატომ არ მოდიან ახალგაზრდები პოლიტიკაში? ბევრი ახალგაზრდა ძალზე სკეპტიკურად არის განწყობილი და ამგვარ კითხვას სვამს: “შეიძლება კი პოლიტიკის “სუფთა ხელებით” კეთება?” და “რამდენად მორალურია პოლიტიკა?”. მე პასუხის გაცემა მიჭირს, თქვენ რას უპასუხებდით?

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

ტოკიოში ზაფხულის ოლიმპიადა ოფიციალურად გაიხსნა

ტოკიოში ზაფხულის ოლიმპიადა ოფიციალურად გაიხსნა. წლევანდელ სანახაობაზე მინიმალისტურ სტილზე გაკეთდა აქცენტი, რაც ნაკლებ მონაწილეს და მეტ დისტანციას გულისხმობს.

გახსნის ცერემონიას 1000-მდე ადამიანი, ძირითადად დელეგაციების წარმომადგენლები და ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. გახსნის ცერემონიაზე, ტრადიციისამებრ ჰიმნების თანხლებით აღმართეს მასპინძელი ქვეყნის, ამ შემთხვევაში იაპონიისა და ოლიმპიური მოძრაობის დროშები.

წლევანდელ ცერემონიაზე განსაკუთრებით გამოკვეთილი პატივი ხვდათ წილად ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლებს და იმ სპორტსმენებს, რომლებმაც პანდემიასთან ბრძოლაში წვლილი შეიტანეს. მოედანზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებიც პანდემიას ემსხვერპლნენ, ასევე მათ, ვინც ოლიმპიური ოჯახის ნაწილი იყვნენ.

მოედანზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ეროვნული დროშები გამოიტანეს. ასევე შესრულდა ჯონ ლენონის სიმღერა „იმეჯინ“, ჰანს ზიმერის არანჟირებით. ერთ-ერთი შთამბეჭდავი სანახაობა იყო დრონების ინსტალაცია, რომლებმაც ეროვნული სტადიონის თავზე დედამიწა გამოსახეს.

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს იაპონიის იმპერატორმა ნარუჰიტომ, ასევე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ.

ვიდრე საბოლოოდ დაიდებდა გინას, ოლიმპიურმა ჩირაღდანმა 2000-ზე მეტი ადამიანის ხელში გაიარა. მოედანზე მისი დანთების პატივი ცნობილ იაპონელ ჩოგბურთელს ნაომი ოსაკას ერგო. ოფიციალური ცერემონია ოთხ საათს გაგრძელდა. წელს ოლიმპიადას სპორტის ხუთი ახალი სახეობა დაემატება. თამაშები 8 აგვისტოს დასრულდება.

შვილები: ქეთევანი, ნათია, თამარი, სოლომონი, ნინო პოპიაშვილები, შვილიშვილები რომანი, ლუკა, თომა მიქაუტაძეები, ნანუკა, ნიკოლოზ წყარუაშვილები, საბა, ლაშა, კახა ხიზანიშვილები, გეგა, დავითი, ანიტა მანგოშვილები, სიძეები: გოგიტა მიქაუტაძე, ზურაბ წყარუაშვილი, გოგიტა ხიზანიშვილი, ვალერი მანგოშვილი, რძალი ნინო უზუნაშვილი, და მარგო პოპიაშვილი იუწყებიან

სპირიდონ პოპიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 22 ივლისს, დედოფლისწყაროში.

ცოლისძმები: გელა, ვაჟა; რძლები: ეთერი, ნონა; ცოლისძმისშვილები: ანა, ლევანი, დავითი ოჯახებით იუწყებიან

სპირიდონ პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ დის - მარგოს, შვილების: ქეთევანის, ნათიას, თამარის, სოლომონის და ნინოს ოჯახებს.

ნათელა ბიღიაშვილი ოჯახით იუწყება სიძის

სპირიდონ პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ზეიმა ყაჭაშაშვილის და მიმოზა გოგილაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებაით იუწყება უახლოესი მეზობლის

სპირიდონ პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ დის- მარგოს, შვილების- ქეთევანის, ნათიას, თამარის, სოლომონის და ნინოს ოჯახებს.

მეუღლე ია პაპაჩაშვილი; შვილები: გიგა, ერეკლე, ელენე; ძმა დათო, მამიდა მერი, სიდედრი ნელი, ცოლისდები ოჯახებით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

გია მარტყოფლიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 22 ივლისს, სოფელ ზემო მაჩხაანში.

მამიდა მერი, მამიდაშვილები: ნათელა ოჯახით, ნიაზი, სოსო ჯანაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბიძაშვილის

გია მარტყოფლიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ შირაქის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნიაზი ჯანაშვილს, ბიძაშვილის

გია მარტყოფლიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ერეკლე მეორის ქუჩის მაცხოვრებლები თანაგრძნობას ვუცხადებთ ვაჟა გოგაშვილს ძმის და ლალი მეხრიშვილს მაზლის

ალიკა გოგაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის სახელით თანაგრძნობას ვუცხადებთ ბიძინა პაპაშვილს დედის

ვალენტინა მანგოშვილ-პაპაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) 5(ხუთი) წლის ვადით გადასაცემად. აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 5(ხუთი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

N	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	ქირის წლიური საფასური (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი ოზაანი	საბავშვო ბაღის შენობაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი	52.04.31.006	95 კვ.მ	560	10%	5%	100
2	ქ.დედოფლისწყარო	ადმინისტრაციული შენობის I სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი	52.08.34.019	35კვ.მ.	600	10%	5%	100
3	ქ. დედოფლისწყარო ჰერეთის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.34.175	60კვ.მ.	900	10%	5%	100
4	ქ. დედოფლისწყარო ჰერეთის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.34.172	33კვ.მ.	495	10%	5%	100
5	ქ. დედოფლისწყარო ჰერეთის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.33.319	34კვ.მ.	510	10%	5%	100

ულოცავენ!

ნანი ბრეგვაძეს!

ჩვენთვის დაუვიწყარია ის ამაღელვებელი დღე - 2015 წლის 23 მარტი, როდესაც თბილისში, საქართველოს ცენტრალური ეროვნული ბიბლიოთეკის მშვენიერ სვეტებიან დარბაზში ჩვენ გვერგო პატივი და ქვეყნის ისეთი დამსახურებული, სახელოვანი და ცნობადი ადამიანების, როგორებიც არიან ნანი ბრეგვაძე, ნონა გაფრინდაშვილი, მედეა ამირანაშვილი, მანანა ახმეტელი და პერსექტიული ახალგაზრდების გვერდით დავასახელებულიყავით „საუკუნის ლეგენდის“ და „ახალგაზრდა პროფესიონალის“ ნომინანტებად და მონაწილეობა მიგვეღო დიპლომების გადაცემის ცერემონიალში, რომელსაც ჩვენი თანამემამულე, პოეტი მაყვალა გონაშვილი უძღვებოდა. ეს იყო 6 წლის წინ და, საბედნიეროდ, გვინდა ვთქვათ, რომ ქართული ესტრადის დედოფალი და მართლაც ლეგენდა ქალბატონი ნანი ბრეგვაძე დღესაც, 85 წლისთავზე, ისეთივე მშვენიერი და ენერგიულია. მადლობა უფალს, რომ მისი თანამედროვენი ვართ. ვუსურვებთ ქალბატონ ნანის ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობას, რათა კვლავაც მრავალჯერ დაატკბოს თავისი მსმენელი. მრავალჟამიერ, ქალბატონო ნანი, გვიყვარხარ, გაიხარეთ!

„საუკუნის ლეგენდის“ ტიტულის მფლობელიები: თამარ მოძღვრიშვილი და ნაირა გორაშვილი

„ახალგაზრდა პროფესიონალის“ ტიტულის მფლობელები: ინგა შიოლაშვილი და დეიკო ალუღიშვილი

ზაირა ღორაშვილს! ომარ მარტყოფლიშვილს!

ჩვენს უახლოეს, საყვარელ და ძვირფას **ზაირა ღორაშვილს** და **ომარ მარტყოფლიშვილს.** ორივეს გილოცავთ დაბადების დღეს (77-80). ასევე ქორწინებიდან 50 წლისთავს. თქვენ კეთილშობილებით და დიდი ადამიანობით გაიარეთ ოჯახური ცხოვრების ეს წლები და ღირსეულად დაიმსახურეთ დიდი სიყვარული და პატივისცემა. თქვენ მაგალითი ხართ იმისა, თუ როგორი უნდა იყოს დედმამიშვილური და ზოგადად ადამიანური ურთიერთობები. ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს გისურვებთ ყველა ახლობლის სახელით. გაიხარეთ თქვენს ღამაზ ოჯახთან ერთად. დაგლოცოთ უფალმა.

დიდი სიყვარულით,
ჟენია ღორაშვილი, ანუკი, ემზარ, რამაზ, ზურა ბეჭაშვილები

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი - 300 533 212 (შენობა-ნაგებობების იჯარა); კოდი - 300 533 047 (მიწის ნაკვეთის იჯარიდან მიღებული შემოსავალი);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40
სააუქციონო კომისია

ყურადღება!

31 ივლისს, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“. ქვეყანაში გართულებული კოვიდსიტუაციისა და რეგულაციების გათვალისწინებით, პრეზენტაციაზე დასწრება შეუძლია მხოლოდ 15 ადამიანს. დასწრების მსურველები დაუკავშირდით ამირან კოდიაშვილს მეილზე amiran.kodiashvili@gmail.com. პირველ 15 მსურველს გაეგზავნება მოსაწვევი შეხვედრაზე დასასწრებად.
მადლობა ყურადღებისთვის!

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 26.07		სამშაბათი 27.07		ოთხშაბათი 28.07		ხუთშაბათი 29.07		პარასკევი 30.07		შაბათი 31.07		კვირა 01.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
31°	21°	32°	22°	26°	19°	23°	17°	25°	19°	27°	19°	28°	18°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია კობაიძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.